

შპს „აისი“

მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs)

2021 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია	4
2 კომპანიის სამუშაო გარემო.....	4
3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება.....	6
4 ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ	9
5 ძირითადი საშუალებები.....	11
6 წინასწარ გადახდილი თანხები ძირითად საშუალებებზე	12
7 საგადასახადო ზედმეტობა	13
8 ფული და ფულის ექვივალენტები	13
9 საწესდებო კაპიტალი.....	13
10 ნასესხები სახსრები	13
11 კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	14
12 სავაჭრო და სხვა დავალიანება	15
13 სხვა საოპერაციო ხარჯები	15
14 ფინანსური ხარჯები.....	15
15 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები	16
16 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	17
17 ფინანსური ინსტრუმენტები	17
18 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	17

შპს აისი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	60,346	9,341
წინასწარი გადახდები	6	1,271	8,606
გადავადებული გადახდის აქტივი		-	223
სულ გრძელვადიანი აქტივები		61,617	18,170
მიმდინარე აქტივები			
დებიტორული და სხვა დავალიანება		33	-
გადავადებული გადახდის აქტივი		223	-
მარაგები		1	3
საგადასახადო ზედმეტობა	7	436	1,012
ფული და ფულის ექვივალენტები	8	1,134	659
სულ მიმდინარე აქტივები		1,827	1,674
სულ აქტივები		63,444	19,844
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	24,816	18,077
დაგროვილი დეფიციტი		(5,095)	(1,298)
სულ კაპიტალი		19,721	16,779
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	29,746	-
ანარიცხები	11	-	265
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		29,746	265
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები		716	-
სავაჭრო და სხვა დავალიანება	12	13,149	2,690
ანარიცხები	11	112	110
სულ მიმდინარე ვალდებულებები		13,977	2,800
სულ ვალდებულებები		43,723	3,065
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		63,444	19,844

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 4 მაისს:



თეიმურაზ მათითაშვილი
 დირექტორი

შპს აისი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2021	2020
სხვა შემოსავალი		45	10
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(222)	(168)
ცვეთა და ამორტიზაცია	5	(45)	(14)
სხვა საოპერაციო ხარჯი	13	(3,162)	(665)
საოპერაციო დანახარჯები		(3,384)	(837)
ფინანსური ხარჯები	14	(1,840)	(13)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული (ზარალი)/მოგება წმინდა		1,427	(44)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(3,797)	(894)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი მოცემული წლისთვის		(3,797)	(894)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის		(3,797)	(894)

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 4 მაისს:



თეიმურაზ მათითაშვილი

დირექტორი

შპს აისი
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,970	(404)	1,566
კაპიტალის შენატანი	16,107	-	16,107
ზარალი მოცემული წლისთვის	-	(894)	(894)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის	-	(894)	(894)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,077	(1,298)	16,779
საწესდებო კაპიტალის ზრდა	6,739	-	6,739
ზარალი მოცემული წლისთვის	-	(3,797)	(3,797)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის	-	(3,797)	(3,797)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24,816	(5,095)	19,721

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2022 წლის 4 მაისს:


 თეიმურაზ მათითაშვილი
 დირექტორი

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისი“ (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგები მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („მსს ფასს“) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანია დაარსდა 2018 წლის 15 ოქტომბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და გაფორმებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საიდენტიფიკაციო ნომერით 400251543

	2021 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 1 იანვარი
შპს „სი-სი-ი-ეიზ ჰაიდრო IV	72%	72%
შპს ელ პი ვი კო	20%	20%
შპს ჰიდროენერჯი	8%	8%

შპს „აისი“ არის სპეციალური დანიშნულების იურიდიული პირი, რომელიც ფლობს „ახალქალაქი 1“ და „ახალქალაქი 2 ჰესებს“ (შემდგომში „პროექტი“) ახალქალაქის რაიონში (საქართველო). კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ფლობა და ექსპლუატაცია. კომპანიის ყველა საქმიანობა მიმდინარეობს საქართველოში.

2016 წლის 7 ოქტომბერს კომპანიამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს („უგმ“) საქართველოს მთავრობასთან („სმ“) პროექტის განხორციელებაზე. 2020 წლის აგვისტოში კომპანიამ სხვადასხვა კონტრაქტორთან (მშენებელ-კონტრაქტორი, ელექტრომექანიკური აღჭურვილობისა და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის მომწოდებლები) ხელშეკრულებების გაფორმების შემდეგ დაიწყო პროექტის სამშენებლო სამუშაოების წარმოება. მშენებლობის ვადების მიხედვით, ორივე ჰესი ექსპლუატაციაში 2022 წლის მეორე ნახევარში უნდა შევიდეს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის დასახლება ქუჩა

საპრეზენტაციო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა

2 კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანა ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთის ჩათვლით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებზე

2020 წლის მარტში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კოვიდ-19 ოფიციალურად გამოაცხადა პანდემიად. პანდემიის უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვა და სხვა ბიზნეს შეზღუდვები. ამ ზომებმა უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირების მიზნით კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა იმ მოვლენის პროგნოზირება, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის

სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე, იგი მიმართავს ყველა გონივრულ ზომას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების შესანარჩუნებლად.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობასა და განვითარების ხელშესაწყობა. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა შესაძლო მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა მენეჯმენტი წინდახედულად ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა შესაბამისად გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME-თვის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დამუშავებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შესაბამისობის განაცხადი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (IFRS SME-თვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონვენციის საფუძველზე.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება იმ ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის თარიღისთვის. ამგვარი ოპერაციების განხორციელებიდან და უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანიდან მიღებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი / ლარი	3.0976	3.2766
ევრო / ლარი	3.5040	4.0233

ამჟამად ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანება აღიარდება თავდაპირველად გარიგების ფასად. შემდგომ მისი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის რეზერვები განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების თანახმად გადასახდელი ყველა თანხის ამოღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება დაბალი ღირებულებით და რეალიზაციის სავარაუდო წმინდა ღირებულებით, რომელიც გამოითვლება, როგორც სავარაუდო სარეალიზაციო ფასს გამოკლებული შესრულებული სამუშაოს ყველა სავარაუდო ხარჯი და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები. ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს შესყიდვის ხარჯსა და მათ მიმდინარე ლოკაციასა და პირობებში მოსაყვანად გაწეულ სხვა ხარჯს.

ყოველ საანგარიშო დღეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის სარეალიზაციო ფასს გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის იმ ლოკაციასა და პირობებში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი ოპერირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

კომპანია ძირითადი საშუალებების კომპონენტების საბალანსო ღირებულებას ამატებს აღნიშნული კომპონენტის შესაცვლელი ნაწილების ხარჯს, ამგვარი ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში, თუ შეცვლილი ნაწილი სავარაუდოდ მოუტანს დამატებით სამომავლო სარგებელს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიშევა.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში აქტივების თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგი სახისაა:

სასარგებლო გამოყენების ვადა

მიწა	განუსაზღვრელი
შენობა	40 წელი
ელექტრომექანიკური და ჰიდრომექანიკური მოწყობილობა	25 წელი
მილსადენი	40 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
სხვა	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დაკორექტირდება მიახლოებით, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენად ღირებულებას (შენიშვნა 5).

განკარგვისას მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პუნქტში - 'მოგებას გამოკლებული ძირითადი საშუალებების განკარგვის ზარალი'.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას, ფასდება თითოეული საანგარიშო თარიღით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. აქტივის გაუფასურების ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის (CGUs) სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციისა და გამოყენების ხარჯი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც წარმოდგენილია განცალკევებით იდენტიფიცირებული ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არა-ფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც გაუფასურებას განიცდიდნენ, განიხილება გაუფასურების შესაძლო ანაზღაურებაზე, ყოველ საანგარიშო პერიოდში.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად საოპერაციო ფასად და შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა-ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშევა მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს. თუ ეფექტი მატერიალური ხასიათისაა, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით

გადასახდელამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამისობის შემთხვევაში, ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც დამოკიდებულია იმ სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ვინაიდან არსებობს გაურკვეველობა იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მოგების მატერიალიზება ან მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს აქტივები არ აღირიცხება ბალანსში. ამის ნაცვლად, ისინი აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის შედეგის მიხედვით. პირობითი ვალდებულება აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ალბათობა და პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება გონივრულად შეფასდეს. პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის შენიშვნებში, გარდა ორივე პირობის არ დაკმაყოფილების შემთხვევისა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის პარტნიორები. კომპანიის განცხადებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის გადაჭარბება / (დეფიციტი) ფაქტობრივი შენატანების ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც განაღდებული / (გაუნაღდებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ასევე, კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში ნაღდი ფულის სახით ან ნატურით, რომლებიც გათვალისწინებული იყო კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის, აღიარებულია განაღდებული კაპიტალის სახით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი განისაზღვრება სარეალიზაციო / დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც: შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც დაკმაყოფილება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით; როგორც აღწერილია ქვემოთ.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტებს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მეიჯარისგან კომპანიაზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა გატარდება ხარჯის სახით წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის ვადა წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე გააფორმებს ხელშეკრულებას იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარით აიღოს აქტივი ნებისმიერი შემდგომი ვადით, რომლის მანძილზეც მოიჯარეს უფლება ექნება გააგრძელოს აქტივის იჯარა, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში, გარკვევით იქნება მითითებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ოფციით.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს

მოლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმოდგენილია ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გადასახადების გამოკვეთის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება პუნქტში - 'გადასახადები, გარდა მოგებისა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“) ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურებების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

EBITDA. EBITDA განისაზღვრება, როგორც მოგება საპროცენტო ხარჯების, საშემოსავლო გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯების, აგრეთვე ფინანსურ საქმიანობაზე უცხოურ ვალუტის გაცვლითი კურსის შედეგად წარმოდგენილი (ზარალის) / მოგების გარეშე. EBITDA წარმოდგენილია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების ქვეჯამის სახით.

შესწორების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

4 ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს

მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დაშვებებს. დაშვებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ზრახვები, სამომავლო ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, ასევე გააანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური მოვლენების გავლენა. კომპანიას აქვს საჭირო რესურსი საქმიანობის გასაგრძელებლად პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დაშვებების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის ექსპლუატაცია. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება.

5 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვალებადობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ათას ლარში	მიწა	მიმდინარე შენიშვნა	საოფისე მოწყობილობა, აღჭურვილობა და ფიტინგები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ფასი					
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	1,439	15	-	1,454
დანამატები	77	7,584	68	174	7,903
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	9,023	83	174	9,357
დანამატები	-	51,036	13	95	51,144
ჩამოწერა	-	-	-	(94)	(94)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	60,059	96	175	60,407
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	2	-	2
ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	9	5	14
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	10	5	16
ხარჯი წლის განმავლობაში	-	-	29	16	45
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	40	21	61
საბალანსო ღირებულება					
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	9,023	73	168	9,341
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	77	60,059	56	154	60,346

სს „თი-ბი-სი ბანკთან“ აკრედიტის ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე საკუთრება არის ბანკის გირავნობის ქვეშ..

შპს აისი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2021 წლის 31 დეკემბერი

6 წინასწარ გადახდილი თანხები

ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
წინასწარ გადახდილი თანხები	1,271	8,606
სულ	1,271	8,606

7 საგადასახადო ზედმეტობა

ვინაიდან პროექტი მშენებლობის პროცესშია, საგადასახადო დებიტორული დავალიანება ძირითადად დღგ-ს აქტივებს უკავშირდება. დღგ აქტივი ექვემდებარება ანაზღაურებას და ამდენად, კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე აქტივები. წმინდა საგადასახადო აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად, 436 ათას და 1,120 ათას ლარს შეადგენს

8 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული ბანკში	1,134	659
სულ ფული და ფულის ექვივალენტი	1,134	659

9 საწესდებო კაპიტალი

2018 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალზე შეადგინა 257 ათასი აშშ დოლარი (688 ათასი ლარი), რაშიც შედიოდა შპს „ჰიდროენერჯის“ 59 ათასი აშშ დოლარის (155 ათასი ლარი) ქონებრივ შენატანს საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულების თანახმად. 2019 წელს საწყისი შენატანი გაიზარდა 456 ათასი აშშ დოლარით (1,283 ლარით), 2020 წელს - 5,089 ათასი აშშ დოლარით (16,107 ათასი ლარით), 2021 წელს კი - 2,108 ათასი აშშ დოლარით (6,739 ათასი ლარით).

10 ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხი	29,746	-
დარიცხული პროცენტი	716	-
სულ ნასესხები სახსრები	30,462	-

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას სს „თი-ბი-სი ბანკთან“ გაფორმებული აქვს 2 სასესხო ხელშეკრულებები:

სესხი #1 — ძირითადი თანხა: 13,985 ათასი აშშ დოლარი;

სესხი #2 — ძირითადი თანხა: 1,515 ათასი აშშ დოლარი;

სასესხო ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია სარგებლობს საშეღავათო პერიოდით მშენებლობის ეტაპზე, ხოლო ძირითადი ბალანსის თანხის გადახდის პირველი სახელშეკრულებო ვალდებულება იწყება 2023 წლის პირველი ნახევრიდან.

კომპანიის ყველა აქტივი, ასევე სააქციო პაკეტის 100% დაგირავებულია სესხის უზრუნველყოფის სახით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები და კომპანიის ვალდებულებების მოძრაობა ყოველ პერიოდში. ამ ვალდებულებათა მუხლები შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მოცემულ დაფინანსების მუხლებს:

ათას ლარში	ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 1 იანვრის მდგომარეობით	
ძირი თანხის დანამატები	31,204
ძირის გადახდა	(321)
პროცენტის გადახდა	(389)
დარიცხული პროცენტი	1,105
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული ზარალი / (მოგება)	(1,137)
ვალდებულებები საფინანსო საქმიანობიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,462

11 ანარიცხები

ათას ლარში	გარემოს დაცვისა და დასუფთავების ხარჯის რეზერვი
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
375	
ძირითადი საშუალებების გათვალისწინებით კორექტირებული შეფასებათა ცვლილება	115
რეზერვის გამოყენება	(414)
მიმდინარე ღირებულების დისკონტირების გაუქმება	25
უცხოური ვალუტის გადაფასება	11
საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	112

დებულება გარემოს დაცვისა და დასუფთავების ხარჯების რეზერვის შესახებ გულისხმობს სამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ტერიტორიის სამელიორაციო, გამწვანების (ხეების დარგვას) და დასუფთავების ხარჯებს. ვალდებულება გულისხმობს დაზიანებული ტერიტორიის შეძლებისდაგვარად პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა. ბიოლოგიური რეკულტივაციის სამუშაოები უნდა ჩატარდეს 2022 წელს.

12 სავაჭრო და სხვა დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო კრედიტორული დავალიანების ბალანსი 13,149 ათ. ლარის ოდენობით ძირითადად წარმოდგენილია ვალდებულებებით სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული მომსახურების გამწევი ორგანიზაციებისა და ასევე, ელექტრო- და ჰიდრო-მექანიკური აღჭურვილობის მომწოდებლების წინაშე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დავალიანების ბალანსი 2,690 ათ. ლარის ოდენობით ძირითადად წარმოდგენილი იყო სამშენებლო კომპანიისადმი ჰესის სამუშაოების შესრულებული ეტაპების დავალიანებით ანგარიშის შედგენის თარიღამდე.

13 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	2021	2020
სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯი	1,976	338
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	349	55
წარმომადგენლობითი ხარჯები	208	57
პროფესიონალური მომსახურების ხარჯები	120	80
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	79	27
იჯარა	65	47
კომუნალური ხარჯი	12	6
საოფისე ხარჯი	10	18
სხვა	343	37
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	3,162	665

14 ფინანსური ხარჯები

ათას ლარში	2021	2020
საპროცენტო ხარჯი	1,105	-
საპროცენტო ხარჯი აკრედიტივზე	583	-
საგარანტიო მოსაკრებელი	27	13
სხვა	125	-
სულ ფინანსური ხარჯი	1,840	13

15 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს ინტერპრეტაციის საგანს, რაც წარმოშობს შესაძლო საგადასახადო რისკებს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებები ზემოაღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, რომელიც საქართველოს მთავრობასთან 2016 წლის 7 ოქტომბერს გაფორმდა და ცვლილებები განიცადა 2022 წლის 23 თებერვალს, კომპანიამ აიღო ვალდებულება ააშენოს ჰესები და აქვს შესაძლებლობა გამოიმუშავეს ელექტროენერგია მიყიდოს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ („ESCO“) 8 თვის მანძილზე (სექტემბრიდან აპრილამდე) 5.8 აშშ დოლარი ცენტი/კვტ/სთ ექსპლუატაციის პირველი 15 წლის განმავლობაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია წარმატებით ასრულებდა მთავრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს.

საბანკო გარანტიები. კომპანიამ უზრუნველყო საბანკო გარანტიები ხელმოწერილი ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად.

* საბანკო გარანტია მშენებლობაზე 910,000 აშშ დოლარის ოდენობით კომპანიის სახელით გაცემული იქნა კომპანია შპს „CCEH Hydro IV“-ის მიერ 2020 წლის 2 ივლისს და გამოიცემა საქართველოს მთავრობის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

* სხვა საბანკო გარანტიები: კომპანიას აქვს ორი საბანკო გარანტია კომპანიის „WWS Wasserkraft“ (ავსტრია) მიერ საჭირო სამონტაჟო ხელსაწყოების იმპორტისთვის: 12 000 ლარზე და 28 000 ლარზე, მოქმედების ვადით 2022 წლის 31 აგვისტომდე.

გირაში გადაცემული და დატვირთული ძირითადი საშუალებები. სს „თი-ბი-სი ბანკთან“ აკრედიტვისა და სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიის ყველა მოძრავი და უძრავი ქონება, ასევე სააქციო პაკეტი არის ბანკის გირავნობის ქვეშაა.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი/ეკოლოგიის, სოციალური და მმართველობითი (ESG) ასპექტები მეტად მნიშვნელოვანია კომპანიისთვის და პროექტის შემუშავების მთელი პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით.

სოციალური საკითხები. 2020 წელს კომპანიამ აიღო ახალქალაქის ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული განვითარების კონკრეტული პროექტების დაფინანსების ვალდებულება. აღნიშნული ინიციატივა კომპანიამ პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე გამოიჩინა, რის მიზანსაც წარმოადგენდა ჰესის შეუფერხებელი მშენებლობა, ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემების გარეშე. გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი ზემოქმედების ქვეშ მყოფ თემებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც იძლევა კომპანიის მიერ განსახორციელებელი სოციალური პროექტების ჩამონათვალს. კომპანიას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არანაირი სამართლებრივი და კონსტრუქციული ვალდებულება არ გააჩნია. არამედ, ადგილობრივი თემების მხარდაჭერა გამორჩეულად კომპანიის სურვილია.

პირობების დაკმაყოფილება. კომპანიაზე ვრცელდება გარკვეული პირობები, ძირითადად მის კრედიტებსა და სესხებთან, ასევე სს „თი-ბი-სი“ ბანკის აკრედიტვით დაკავშირებით. მითითებული პირობების დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება უარყოფითი შედეგების მომტანი იყოს კომპანიისთვის, მათ შორის ისეთის, როგორიცაა კრედიტებისა და სესხების ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმატებით ასრულებდა სახელშეკრულებო სასესხო პირობებს.

აკრედიტის. კომპანიას აქვს მოლაპარაკება ელექტრო- და ჰიდრომექანიკური აღჭურვილობის მომწოდებლებთან აკრედიტით უზრუნველყოფილი გადახდის გადავადებული პირობებით. აკრედიტის ვალად კონვერტაცია მოხდება გადაუხდეელი კრედიტორული დავალიანების დაფარვის მომენტში. ქვემოთ მოცემულია დეტალები:

ათას ლარში	დაფარვის ვადა	თანხა
WWS Wasserkraft GmbH	2022 წლის 31 ივლისი	723
Geppert GmbH	2022 წლის 31 ოქტომბერი	2,835

16 ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მთავარი ხელმძღვანელობა წარმოდგენილია: პროექტის მენეჯერით, პროექტის მენეჯერის თანამემწით, დირექტორითა და ტექნიკური დირექტორით. მთავარი ხელმძღვანელი პირების ხელმძღვანელ თანამდებობაზე სრული სამუშაო დღით მუშაობის შრომის ანაზღაურება სახელშეკრულებო ხელფასისა და ჯანმრთელობის დაზღვევისგან. ძირითადი მენეჯმენტის ანაზღაურება ნაჩვენებია ქვემოთ:

ათას ლარში	2021	2020
ხელფასები და ბენეფიტები	553	504

დაინტერესებულ მხარეებთან შემოსავლებისა და გასავლების მუხლები მოცემულია ქვემოთ:

ათას ლარში	2021	2020
გრძელვადიანი დავალიანება მშობელი კომპანიის წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე	27	13

17 ფინანსური ინსტრუმენტები

ათას ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული	1,390	882
ფული და ფულის ექვივალენტი	1,134	659
დებიტორული და სხვა სახის დავალიანება	33	-
აკრედიტივი	223	223
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	43,723	3,065
ნასესხები სახსრები	30,462	-
გრძელვადიანი გადასახდელები	13,149	2,690
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	112	375

18 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის პირველ ნახევარში განხორციელდა აქციონერების დამატებითი ინვესტიცია 810 ათასი დოლარის ოდენობით

2022 წლის 23 თებერვალს შევიდა ცვლილება ურთიერთგაგების მემორანდუმში. ცვლილების თანახმად, კომპანიას აქვს შესაძლებლობა გამოიმუშავებული ელექტროენერგია მიყიდოს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ („ESCO“) 8 თვის მანძილზე (სექტემბრიდან აპრილამდე) 6.0 აშშ დოლარი ცენტი/კვტ/სთ ექსპლუატაციის პირველი 10 წლის განმავლობაში.

2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი თავმოყრის შემდეგ რუსეთის ჯარებმა დაარღვიეს საზღვარი. საერთაშორისო დონეზე მოცემული შეჭრა მიჩნეულია სამხედრო აგრესიად და მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი სამხედრო თავდასხმაა ევროპულ სახელმწიფოზე. ამან გამოიწვია ლტოლვილთა უდიდესი კრიზისი ევროპაში იმ ომის შემდეგ, როდესაც მილიონობით უკრაინელმა დატოვა ქვეყანა და საკუთარი სახლები. უკრაინის ომის გამო მსოფლიოს ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა გაერთიანებამ რუსეთს მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესა.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ უკრაინის ომი არის მოვლენა, რომელიც ბალანსის შემდგომ ჰქონდა ადგილი და არ ექვემდებარება კორექტირებას და ვარაუდობს, რომ იგი არ მოახდენს მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის საქმიანობაზე. რადგან ომი გრძელდება, შეუძლებელია ზუსტად და სრულად შეფასდეს გავლენა, რომელიც მას შეიძლება იქონიოს კომპანიაზე, რადგან გაურკვეველია მისი ზემოქმედების სრული მასშტაბი მთლიანად ეკონომიკაზე. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ მდგომარეობას.